

## ნაბიჯ-ნაბიჯ გენდერული თანასწორობის სამართლებრივი უზრუნველყოფისათვის

გიორგი თუმანიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო)  
ევროპის აკადემია (საქართველო)  
მასარიკის უნივერსიტეტი (ჩეხეთი)

### აბსტრაქტი:

არსებობს თუ არა რეალურად გენდერული უთანასწორობის სამართლებრივი, სოციალურ-კულტურული თუ მენტალური პრობლემა თანამედროვე საქართველოში? დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის 25 წლის მანძილზე რა სამართლებრივი ნაბიჯები გადაიდგა გენდერული უთანასწორობისა და გენდერთან დაკავშირებული როლური სტერეოტიპების აღმოსაფხვრველად? წარმოდგენილი კვლევა მიზნად ისახავს, გასცეს პასუხი ზემოხსენებულ შეკითხვებს, ხოლო პასუხების გაცემის შემდეგ შესთავაზოს გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს ის კონკრეტული სამართლებრივი ნაბიჯები, რომელთა გადადგმა/განხორციელებაც გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოფს იმ რეალური გენდერული თანასწორობის არსებობას, რომელიც აუცილებელია სხვადასხვა გენდერის მქონე პირთა უფლებების ეფექტური რეალიზებისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** გენდერი, თანასწორობა,


გენდერული თანასწორობა - ამ ორი სიტყვის შემცველი წინადადება დღევანდელი მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სხვადასხვა ტექსტში გვხვდება (მათ შორის სამართლებრივ-ნორმატიულ ტექსტშიც). ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკური, კულტურული, მენტალური და სხვა მახასიათებლები, ხშირ შემთხვევაში, განაპირობებს გენდერული თანასწორობის ტექსტობრივი კონსტრუქციის ნორმატიული არსებობის ინტენსივობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმ ქვეყნებში, რომლებშიც პოლიტიკურ თანამდებობებზე, მენეჯერულ პოზიციებსა და სხვადასხვა სფეროს ძირითად საკვანძო ერთეულებში გენდერული ბალანსი მერყეობს 40-60%-ის ფარგლებში, გენდერული თანასწორობის ტექსტობრივი კონსტრუქტი ნაკლებად გვხვდება, მათ შორის ნორმატიულ ტექსტებშიც; და პირიქით, ქვეყნებში, რომლებშიც ზემოხსენებული თანაფარდობა გადანაწილებულია 30-70%-ზე, ტექსტობრივი კონსტრუქტის გამოყენება ბევრად ინტენსიურია. ასევე, მეტია სამოქალაქო უსამართლობისა და დისბალანსში ყოფნის შეგრძნება გენდერული უმცირესობისათვის.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით არ არსებობდეს გენდერული უთანასწორობა? წინამდებარე კვლევის მიზანია, პასუხი გასცეს ამ კითხვას და იმავდროულად გახდეს გარკვეული გზამკვლევი სამართლებრივი ცვლილებებისათვის, რეალური სამართლებრივი თანასწორობის ნორმატიული განმტკიცების გზაზე.

გენდერული თანასწორობის საკითხი შესაძლოა განიხილოს სხვადასხვა საწყის ჭრილში, რაც თავისთავად დამოკიდებულია ტერმინის შინაარსზე. კვლევის ფარგლებში ვისაუბრებ მხოლოდ გენდერის ბიოლოგიურ (დაბადებით) სქესზე. არ გავამახვილებ ყურადღებას პირის ამა თუ იმ

გენდერის მიმართ ფსიქოლოგიური იდენტობა/მიკუთვნების საკითხებზე<sup>1</sup>, ასევე, არ ვისაუბრებ ინტერსექსი<sup>2</sup> პირების სამართლებრივ მდგომარეობაზე.<sup>3</sup>

მიუხედავად საკითხის თეორიული განზოგადებისა, დღევანდელ მსოფლიოში, უმრავლეს შემთხვევაში, გენდერულ უთანასწორობაზე საუბრისას იგულისხმება - მდებარეობითი სქესის პირებისთვის, მამრობითი სქესის პირებთან შედარებით, უთანასწორო მდგომარეობა, რაც შესაბამისად ასახულია ამა თუ იმ ქვეყანაში არსებულ სტატისტიკურ მონაცემებში. ერთი შეხედვით, სქესის უფლებრივ დომინანციაში მყოფი სქესი ის არის, რომელიც რიცხოვნობად დომინირებს, ანუ უფრო მეტია. დომინანციაზე საუბრისას მნიშვნელოვანია, რომ რიცხოვნობა



დაახლოებით ისეთი პროცენტული მაჩვენებლის ტოლი უნდა იყოს, როგორი სხვაობაც არის სხვადასხვა სქესის ადამიანთა დასაქმების, უფლებრივი თანასწორობისა და სხვა საკითხების მხრივ. რომელიმე სქესის არსებითი რაოდენობრივი დომინანცია მსოფლიოში არ იკვეთება<sup>4</sup>. ქალისა და კაცის ხვედრითი წილი ამა თუ იმ ქვეყნის პოპულაციაში სხვადასხვაგვარია და მერყეობს 0-10%-ის ფარგლებში, საშუალო არითმეტიკული თვალსაზრისით კი 1-5%-ის ფარგლებში<sup>5</sup>.

საქართველოში 2015 წლის მონაცემებით უფრო მეტი ქალია, ვიდრე კაცი. პროპორცია კი შემდეგია: ქალი 52.31%, კაცი-47.68%.<sup>6</sup> როგორც ვხედავთ, სტატისტიკური მონაცემებით (გენდერული ნიშნით) მამრობითი სქესი უმცირესობაშია. მოდით ვნახოთ და გავანალიზოთ სხვა სტატისტიკური მონაცემები.

<sup>1</sup> დღევანდელ დღეს გენდერულ კუთვნილებათა ყველაზე ფართო არჩევანს, არსებული მატერიალური თუ ელექტრონული სარეგისტრაციო სისტემებიდან, გვთავაზობს სოციალური ქსელის პლატფორმა ფეისბუქი (Facebook). პლატფორმამ მომხმარებლებს დიდი ბრიტანეთიდან<sup>1</sup> ასარჩევი გენდერის სიაში შესთავაზა 71 შესაძლებელი ვარიანტი დამატებით, იხილეთ: The Telegraph "Facebook's 71 gender options come to UK users" <http://www.telegraph.co.uk/technology/facebook/10930654/Facebooks-71-gender-options-come-to-UK-users.html>.

<sup>2</sup> (ლათ. inter შორის, sexus სქესი) - ინდივიდი, რომელსაც ორივე სქესისათვის დამახასიათებელი ანატომიური ნიშან-თვისებები გააჩნია; ინდივიდი, რომელიც მოკლებულია ერთი რომელიმე სქესის გამოკვეთილ ნიშნებს. წყარო: გოგიჩაძე, გ. სამედიცინო ტერმინოლოგიის ქართულ-ინგლისურ-რუსულ-ლათინური განმარტებითი ლექსიკონი / გ. გოგიჩაძე, ა. გედენიძე, ჯ. ჭუმბურიძე; [რედ.: ნოდარ ჭიჭინაძე, ალექსანდრე ქორელი]. - თბ. : მერიდიანი, 2009. - 496გვ. ; 20სმ. - ბიბლიოგრ.: გვ. 394-395. - ISBN: 978-9941-10-174-8[MFN: 138888], შედარებისთვის: *Intersex is an umbrella term used to describe a wide range of natural bodily variations. In some cases, intersex traits are visible at birth while in others, they are not apparent until puberty. Some chromosomal intersex variations may not be physically apparent at all. Intersex people are born with sex characteristics (including genitals, gonads and chromosome patterns) that do not fit typical binary notions of male or female bodies.* წყარო: United Nations; Office of the High Commissioner for Human Rights (2015). *Free & Equal Campaign Fact Sheet: Intersex.* Citation made from: [https://unfe.org/system/unfe-65-Intersex\\_Factsheet\\_ENGLISH.pdf](https://unfe.org/system/unfe-65-Intersex_Factsheet_ENGLISH.pdf)

<sup>3</sup> საკითხით დაინტერესებულ პირებს შეგიძლიათ გაეცნოთ: გიორგი გ. თუმანიშვილი, ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამეცნიერო კვლევითი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“ #3, 2015 [http://lawandworld.ge/uploads/magazine/magazine\\_N3.pdf](http://lawandworld.ge/uploads/magazine/magazine_N3.pdf) გვ. 73-84.

<sup>4</sup> მსოფლიო მოსახლეობის გენდერული პროპორცია (2016 წლის 25 იანვრის მდგომარეობით) შემდეგია: მამრობითი სქესი-50.4%, ხოლო მდებარეობითი სქესი-49.6%. დამატებით, იხ.: <http://www.worldometers.info/world-population/world-population-gender-age.php>, შეადარე: <http://esa.un.org/unpd/wpp/DataSources/>


<sup>5</sup> დასკვნა ეფუძნება მსოფლიო ქვეყნების სტატისტიკური მონაცემების ანალიზს. ანალიზისთვის საწყისი წყაროები ეფუძნება ამ მონაცემებს: <http://www.worldometers.info/world-population/world-population-gender-age.php>, შეადარე: <http://esa.un.org/unpd/wpp/DataSources/>

<sup>6</sup> [http://www.geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/georgian/genderuli%20statistika.pdf](http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/genderuli%20statistika.pdf)

სანამ უშუალოდ მონაცემებს შევხები, მინდა საგანგებოდ აღვნიშნო, რომ საქართველოში როგორც ნორმატიული ენა, ისე მონაცემების აღწერა სტატისტიკური თვალსაზრისით შეიცავს *სექსიზმის*<sup>7</sup> ნიშნებს, რაც დაკავშირებულია სხვადასხვა თეოლოგიურ თუ ლიტერატურულ ტექსტთან<sup>8</sup>. დღევანდელ დღეს ვფიქრობ, უპრიანია სტატისტიკური თუ სხვა მიზნებისათვის კაცის ნაცვლად გამოყენებულ იქნას სიტყვა ადამიანი იქ, სადაც კაცში იგულისხმება არა მხოლოდ მამრობითი სქესის წარმომადგენელი, არამედ მდედრობითი სქესისაც. სიტყვა „ადამიანი“ მოკლებულია გენდერულ მიკუთვნებას და თანაბრად გამოიყენება როგორც ქალის, ისე კაცის შემთხვევაში. შესაძლებელია, თეორიულ რაკურსში ამ სიტყვასაც (ადამიანი) მოეძებნოს ისტორიულ/მითოლოგიური თვალსაზრისით სქესთან (ადამი - ადამიანი) მიკუთვნება, მაშინ შესაძლოა, ყოველგვარ მიკუთვნებას მოკლებული, „სტერილური“ სიტყვა გამოვიყენოთ - მოსახლეობა/მოსახლე/პოპულაცია. განსახილველ კონტექსტში ბევრად უფრო კორექტულად მიმაჩნია ამ ორი ტერმინის გამოყენება.


მოსახლეობაში<sup>9</sup> გენდერულ პროპორციაზე საუბრისას, საქართველოს მაგალითზე, ძალიან საინტერესო ტენდენცია იკვეთება. კერძოდ, დავაკვირდეთ ცხრილს:

საქართველოს მოსახლეობა (2015)



როგორც ვხედავთ, 0-30 წლის ასაკობრივ ჯგუფებში უფრო მეტი მამრობითი სქესის ადამიანია, იმიტომ, რომ უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში რიცხოვნობდა უფრო მეტი მამრობითი

ახალშობილთა სქესი



სქესის ადამიანი დაიბადა, ვიდრე მდედრობითი სქესის, რაც, ასევე, დაფიქრებას საჭიროებს. ტენდენციის ახსნა შესაძლოა ვეძებოთ ე.წ. სელექციურ აბორტებში, რაც გენდერის ნიშნით სელექციას გულისხმობს. ასეთი აბორტების რიცხვის გაზრდა, თავის მხრივ დაკავშირებულია ტექნოლოგიურ პროგრესთან, რომელიც


<sup>7</sup> ტერმინის შინაარსობრივი მოცემულობის შესახებ, დამატებით, იხილეთ: სამოქალაქო განათლების ლექსიკონი: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=6652>

<sup>8</sup> დაბადა ღმერთთან ხატებისა და მსგავსებისაებრ თვისისა, ნივთებთა მიერ ჯორცნი შემზადა სულისა გონიერისა და სიტყვიერისა შთაბერვითა მიმნიჭებელმან. ხოლო კაცი ზოგად ყოველთა ეწოდების. ესე კაცი განიყოფ(ვ)ების მამაცად და დიაცად. რომელ არს მამაკაცი და დედაკაცი (იხ. იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ 25-ე თავი)


<sup>9</sup> ცხრილში მონაცემები ეფუძნება 2014 წლის 5 ნოემბრის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის წინასწარ შედეგსა და 2014 წლის ბოლო 2 თვის საერთო მატების (ბუნებრივ მატებას + მიგრაციული სალდო) ჯამს. აღწერათაშორისი პერიოდის მოსახლეობის რიცხოვნობის გადაანგარიშება მოხდება 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ.

ფეხმძიმობის საწყის კვირებზე, სქესის დიაგნოსტიკის შესაძლებლობას იძლევა.


კვლევის მიზნებისათვის, მნიშვნელოვანია გენდერული პროპორციის ანალიზი სხვადასხვა სეგმენტში. მათ შორის ადამიანის შემოსავლის მოცულობის მედიანის დადგენა მამრობითი და მდედრობითი სქესის მოსახლეობაში.




**ბოლო წლების დინამიკა პროცენტებში (15 წელს ზევით დასაქმებული პირები)**



**შემოსავლის პროპორცია გენდერთან მიმართებაში.**




**საშუალო ყოველთვიური შემოსავალი სეგმენტების მიხედვით (2014 წლის მონაცემებით)**



ქალის საშუალო ყოველთვიური შემოსავალი შეადგენს მამაკაცის შემოსავლის 63%-ს. 2014 წლის მონაცემებით, ბიზნეს (კერძო) სექტორში დასაქმებულ კაცთა შრომის საშუალო ყოველთვიურმა ნომინალურმა ანაზღაურებამ, 940 ლარი შეადგინა, რაც 351 ლარით აღემატება დასაქმებულ ქალთა შრომის საშუალო თვიურ ანაზღაურებას.


ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა და მოძალადეთა რიცხოვნობის შესახებ საქართველოში 2014 წლის სტატისტიკური მონაცემები შემდეგია: ძალადობის შემთხვევათა საერთო რაოდენობიდან 459 იყო ფიზიკური ძალადობის, 799 - ფსიქოლოგიური, 75 - ეკონომიკური, 9 - სექსუალური, 83 - იძულება, ხოლო 14 - სხვა სახის.



როგორც ვხედავთ, მოძალადეთა უმეტესი ხვედრითი წილი მოდის მამრობითი სქესის წარმომადგენლებზე, ხოლო მსხვერპლი ძირითადად, კვალიფიციურ უმრავლესობაში, მდედრობითი სქესის წარმომადგენელია.


მართვის მოწმობების გაცემისა და რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელების 2014 წლის სტატისტიკა.

**მართვის მოწმობების გაცემისა და რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტოსამუალებების სტატისტიკა**




ნორმატიულ ნაბიჯებზე საუბრისას, მეტად მნიშვნელოვანია ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს გენდერული თანაფარდობის სურათი და მისი ანალიზი.

**უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში გენდერული თანაფარდობა**



### ქალთა პროცენტული მონაწილეობა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში



როგორც ვხედავთ, საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ქალთა მონაწილეობის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი არის 2012 წელს (12%).

რა აქტივობა/ღონისძიებები განხორციელდა საქართველოში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისათვის და კონკრეტულად რა სახის თვისობრივი, თუ რაოდენობრივი შედეგი მოიტანა განხორციელებულმა?

1994 წლიდან საქართველო შეუერთდა ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაერთიანებული ერების კონვენციას და ამ კონვენციის მოთხოვნების შესრულების ვალდებულება იკისრა ცხოვრების ყველა სფეროში - აღმოფხვრას ქალისა და მამაკაცის როლის სტერეოტიპული კონცეფციები.

ასევე, 1995 წელს საქართველო შეუერთდა პეკინის სამოქმედო პლატფორმას და ვალდებულება იკისრა, შეემუშაებინა ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების ეროვნული სამოქმედო გეგმა, რაც ერთი შეხედვით, თითქოს განხორციელდა 1998-2000 წლებში, ეროვნული სამოქმედო გეგმით - „ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის“ -გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებით. 1999 წელს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოში შეიქმნა სახელმწიფო კომისია და შემუშავდა ქალთა წინსვლის სახელმწიფო პოლიტიკა. იმავე წელს, ხელი მოეწერა პრეზიდენტის №511 ბრძანებულებას „საქართველოში ქალთა უფლებების დაცვის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ და შეიქმნა სხვა დოკუმენტები, რომლებზეც პეკინის სამოქმედო პლატფორმის გავლენა აისახა. №511 ბრძანებულებაში მკაფიოდ არის ფორმულირებული, რომ საქართველოს კონსტიტუციის ნორმების, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დოკუმენტების მოთხოვნების, პეკინის სამოქმედო პლატფორმისა და ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის რეკომენდაციების შესრულების მიზნით, სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტებმა ადამიანის უფლებათა დაცვა უნდა უზრუნველყონ. ბრძანებულება 16 მუხლისგან შედგება და ცამეტ სამთავრობო უწყებას სხვადასხვა დავალებას აძლევს ქალთა უფლებების განმტკიცებისა და მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ყურადსაღებია, რომ უკვე 1999 წელს ხსენებულ ბრძანებულებაში მოცემულია შემდეგი ფორმულირება: „ეთხოვოს საქართველოს პარლამენტს, იმსჯელოს დროებითი სპეციალური ღონისძიებების შესახებ ქალთა პოზიციების გასაუმჯობესებლად გადაწყვეტილებათა მიღების დონეზე პოლიტიკურ წარმომადგენლობაში კვოტების

ჩათვლით”<sup>10</sup>. ამ ბრძანებულების მიხედვით, ქალთა განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებელ კომისიას დაევალა, ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით მოემზადებინა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ (მათ შორის ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ) ბრძოლის სამწლიანი ეროვნული პროგრამა, რომელიც გაითვალისწინებდა კრიზისული ცენტრების შექმნას, საკონსულტაციო სამსახურების გაფართოებას მსხვერპლი ქალებისათვის დახმარების გასაწევად, სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლი ქალებისათვის რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პროგრამების შემუშავებას.

საქართველოს განათლების სამინისტროს დაევალა, ჩაეტარებინა სახელმძღვანელოების გენდერული ანალიზი სტერეოტიპების აღმოსაფხვრელად, ცხოვრების ყველა სფეროში ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობის დამკვიდრების მიზნით.

2000 წელს პრეზიდენტმა ახალი, №64 ბრძანებულებით ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების სამწლიანი გეგმა დაამტკიცა. გეგმა მოიცავდა 2000-2002 წლებს<sup>11</sup>. ამ ბრძანების მიზნების, ამოცანებისა და კონკრეტული ღონისძიებების პრაქტიკულად სრულმა განუხორციელებლობამ გამოიწვია (2003 წელს) საჭიროება იმისა, რომ ზემოხსენებული ბრძანებულება შეცვლილიყო. კერძოდ კი, ყველა დათქმული ვადა (2000-2002 წლები) შეიცვალა ახალი ვადით - 2003-2005 წლებით.<sup>12</sup>

2004 წელს შეიქმნა გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭო, ხოლო 2005 წელს გენდერული თანასწორობის სამთავრობო კომისია<sup>13</sup>. მომდევნო წელს კი, დამტკიცდა გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია<sup>14</sup>, რომლითაც საქართველოს მთავრობას დაევალა 6 თვის ვადაში შეემუშავებინა და მიეღო ამ კონცეფციის განხორციელების სამოქმედო გეგმა. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს პარლამენტის ამ დადგენილებით ნორმატიული ენით განიმარტა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ტერმინები, კერძოდ: გენდერი,<sup>15</sup> გენდერული თანასწორობა,<sup>16</sup> სქესის ნიშნით დისკრიმინაცია,<sup>17</sup> გენდერული მეინსტრიმინგი.<sup>18</sup>

<sup>10</sup> ე.შევარდნაძე, ბრძანებულება №511. „ქალთა უფლებათა დაცვის განმტკიცების ღონისძიებები.“ 1999, 28 აგვისტო, 1. ბრძანებულების პირველადი ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/113068>

<sup>11</sup> ე. შევარდნაძე, 2000 წლის 25 თებერვლის ბრძანებულება #64 ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის გეგმის (2000-2002 წლები) დამტკიცების შესახებ, ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/113572>

<sup>12</sup> ე.შევარდნაძე, „ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის გეგმის (2000-2002 წლები) დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 25 თებერვლის №64 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/116632>

<sup>13</sup> გენდერული თანასწორობის საკითხთა სამთავრობო კომისიის შესახებ, 2005 წლის 28 ივნისის, საქართველოს მთავრობის დადგენილება #109, ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1287532?publication=0>

<sup>14</sup> საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 24 ივლისის დადგენილება „საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის“ დამტკიცების თაობაზე, ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/44014>

<sup>15</sup> გენდერი არის ცნება, რომელიც აღნიშნავს კულტურით განპირობებულ შეხედულებებს ქალთა და მამაკაცთა ქცევისადმი დამოკიდებულების, პიროვნული თვისებების, ფიზიკური და ინტელექტუალური შესაძლებლობების შესახებ.

<sup>16</sup> გენდერული თანასწორობა ადამიანის უფლებათა განუყოფელი ნაწილია. იგი გულისხმობს ქალთა და მამაკაცთა თანაბარ წარმოჩენას, უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობასა და თანასწორ მონაწილეობას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში

<sup>17</sup> სქესის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაცია ხდება მაშინ, როდესაც პირის მიმართ მოპყრობა განსხვავდება მხოლოდ სქესისა და მამაკაცთა და ქალთა მახასიათებლების საფუძველზე, რასაც არ შეიძლება ობიექტური გამართლება ჰქონდეს.

არაპირდაპირი დისკრიმინაციისას კანონი, პოლიტიკა თუ პროგრამა პირდაპირ არ მიუთითებს რაიმე დისკრიმინაციაზე, მაგრამ მისი განხორციელება დისკრიმინაციულ შედეგს იძლევა.

<sup>18</sup> გენდერული მეინსტრიმინგი არის ყველა სფეროში და დონეზე პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისას გენდერული თანასწორობის პრინციპების გათვალისწინება.



2006 წლის 24 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია, ხოლო 2007 წელს დაამტკიცა გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2007-2009 წლების სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმით გენდერული თანასწორობის მიღწევისათვის განათლების სფეროში შემდეგი ღონისძიებები დაიგეგმა:

- განათლების სისტემაში გენდერთან დაკავშირებული სტერეოტიპების ჩანაცვლება ახალი, გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული ხედვით, განათლების ყველა საფეხურზე;
- საგანმანათლებლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში გენდერული ასპექტების გათვალისწინება;
- განათლების სამინისტროს საგანმანათლებლო სტანდარტების შემმუშავებელ შესაბამის ჯგუფში გენდერული საკითხების ექსპერტების ჩართვა; სახელმძღვანელოების გენდერული ექსპერტიზის განხორციელება, სახელმძღვანელოებში გენდერული თანასწორობის გათვალისწინებით;
- პედაგოგთა უწყვეტ განათლების სისტემაში, გენდერულ საკითხთა სწავლების კომპონენტის ჩართვა. (გენდერული თანასწორობის საბაზისო საკითხების შესახებ ინფორმაციის ჩართვა პედაგოგთა უწყვეტი განათლების პროგრამაში).

2006 წელს, ასევე, დამტკიცდა საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ და საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. 2007 წელს შეიქმნა საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შემმუშავებელი უწყებათაშორისი კომისია.<sup>19</sup> კომისიას დაევალა გენდერული თანასწორობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების კოორდინაცია და გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი, სამინისტროების პოლიტიკასა და პროგრამებში გენდერული თანასწორობის პრინციპების გათვალისწინება, ხოლო სამინისტროებს დაევალა მათ უწყებებში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნა, რომელიც ანგარიშვალდებული იქნებოდა კომისიის წევრი მინისტრის მოადგილის წინაშე.

2009 წელს საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანებულება #665 ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიცირების წესის დამტკიცების თაობაზე

2010 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, კანონის მიზნად განისაზღვრა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობის უზრუნველყოფა, სათანადო პირობების შექმნა ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის. ამ კანონმა ნორმატიული ლექსიკით განმარტა თანასწორი მოპყრობის ტერმინი.<sup>20</sup>

<sup>19</sup> საქართველოს მთავრობის 2007 წლის 26 სექტემბრის #211 დადგენილება, ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/7828>

<sup>20</sup> თანასწორი მოპყრობა – განათლების, შრომისა და სოციალური პირობების დადგენისას, საოჯახო ურთიერთობებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვა სფეროებში ორივე სქესის პირთა თანასწორი უფლებებისა და შესაძლებლობების აღიარება, სქესის ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობა. იხ. საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“ პირველადი ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624>

გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონმა, ასევე დაადგინა და განსაზღვრა გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის გარანტიები.<sup>21</sup>

2011 წლის 5 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი დადგენილება „გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი 2011–2013 წლების სამოქმედო გეგმის“ დამტკიცების შესახებ, რომლის მიზნადაც განისაზღვრა გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის ხელშეწყობა, განხორციელების ხელშეწყობა. 2014 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი სამოქმედო გეგმა. კერძოდ კი, „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმა“. უნდა ითქვას, რომ ეს გეგმა წინა წლების გეგმებთან შედარებით ყველაზე მოცულობითია და მოიცავს მრავალ ასპექტს, რომლებიც, თავის მხრივ, დეტალურად ჩაშლილია განსახორციელებელი ღონისძიებების დონემდე.<sup>22</sup>

2014 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის“ შესახებ და ხელი მოეწერა „ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს 2011 წლის 11 მაისის კონვენციას.<sup>23</sup> ასევე, განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებების პირველი ტალღა, კანონმდებლობის ჰარმონიზება სტამბულის კონვენციის შესაბამისად. იმავე წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ დაამტკიცა გენდერული თანასწორობის სტრატეგია,<sup>24</sup> სამინისტროს დაქვემდებარებულ სფეროში არსებულმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმაც მიიღეს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც ეხება გენდერთა თანასწორობის საკითხებს, მაგალითისთვის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიუროს გენდერული თანასწორობის სტრატეგია<sup>25</sup>

2015 წელი საქართველოს პრეზიდენტმა ქალთა წლად გამოაცხადა.

როგორც ვხედავთ, 1991-2016 წლებში (ეს კი 25 წელია, საუკუნის ¼), ერთი შეხედვით, მრავალი ნაბიჯი გადაიდგა გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის გზაზე. რეალურად კი, რაოდენობრივი თვალსაზრისით, შედეგები შემდეგია (საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მაგალითზე):



<sup>21</sup> დამატებით, იხ. საქართველოს კანონის „გენდერული თანასწორობის შესახებ“ ტექსტის პირველადი სახე, თავი II, ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624>

<sup>22</sup> საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 24 იანვრის დადგენილება „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ. ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2235622>

<sup>23</sup> იხ. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 16 ივნისის, განკარგულება #1071 „ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს 2011 წლის 11 მაისის კონვენციაზე ხელმოწერის თაობაზე. განკარგულების ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2378090>

<sup>24</sup> დამატებით იხ. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 29 აპრილის ბრძანება #544. ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <http://www.mod.gov.ge/assets/up-modul/uploads/pdf/gender/genderuli-Tanasworobis-strategia.pdf>

<sup>25</sup> დამატებით, იხ. სტრატეგიის ტექსტი აქ: [http://csbd.gov.ge/doc/genderuli\\_tanasworobis\\_kodeqsi.pdf](http://csbd.gov.ge/doc/genderuli_tanasworobis_kodeqsi.pdf)



როგორც ვხედავთ, 25 წელიწადში რალური შედეგი საქართველოს უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს მაგალითზე არის:  $11.3-7.2=4.1\%$ -ით ქალთა ხვედრითი წილის მატება. თანაფარდობის ზრდის ტემპის განზოგადების შემთხვევაში (ჰიპოთეზური მაგალითი უკანასკნელი 25 წლის ტენდენციის მაგალითზე) პირობითი გენდერული ბალანსი მიიღწევა  $(50\%-11.3\%)/4.1\%=9.43*25(\text{წელი})=235$  წელიწადში.

ეს ჰიპოთეზური განზოგადება, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ზემოხსენებული (არსებული) ციფრებით ოპერირების შედეგია, იძლევა შესაძლებლობას ითქვას (დადგინდეს), რომ საქართველოში რეალურად არსებობს გენდერული უთანასწორობა და რომ ნაბიჯები, რომლებიც  $\frac{1}{4}$  საუკუნის განმავლობაში გადაიდგა ამ მხრივ, არაქმედითი და უშედეგოა დროის იმ მონაკვეთთან მიმართებაში, რომელსაც ვიღებთ საანგარიშოდ.

კვოტირება. კვოტა.<sup>26</sup>

კვოტების იდეის ერთგვარი საფუძველია, გადალახოს პოლიტიკისაგან ქალების იზოლირების არსებული მდგომარეობა და ჩართოს ქალები პოლიტიკურ პროცესში. კვოტების სისტემა ქალების პოლიტიკაში ჩართვის პასუხისმგებლობას აკისრებს არა ცალკეულ ქალებს, არამედ იმ სტრუქტურას, რომელიც აკონტროლებს პოლიტიკაში რეკრუტირების პროცესს. კვოტა წარმოადგენს დროებით ღონისძიებას, რომელიც მანამდე მოქმედებს, სანამ პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის ბარიერები დაიძლევა.<sup>27</sup> კვოტირების იდეა მოიზარებს ქალთა დაცვას პოლიტიკური იზოლაციისგან. იგი ერთი შეხედვით ეფექტური საშუალებაა გენდერული თანასწორობის მისაღწევად, რაც ქვეყანაში „წარმომადგენლობითი დემოკრატიის“ ბაზის ქმნის.

<sup>26</sup> (ლათ. quota - რისიმე დასაშვები რაოდენობა, მიღებული ნორმა, დადგენილი წილი. შედარებისთვის იხ: სამოქალაქო განათლების ლექსიკონი <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=3400>, შეადარე ოქსფორდის ლექსიკონს ბმულზე: <http://www.oxforddictionaries.com/definition/english/quota>

<sup>27</sup> ხომერიკი ლელა. ქალი და პოლიტიკა, -[გენდერული პრობლემატიკა საქართველოში], -ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი, - თბ., -2002

მსოფლიოში ქალთა 30 პროცენტის წარმომადგენლობა ითვლება ე.წ. „კრიტიკულ მასად“, რომელიც საშუალებას აძლევს ქალებს, როგორც ინტერესთა ჯგუფს, სახელმწიფო პოლიტიკაზე საგრძნობი გავლენა მოახდინონ. გაეროს 1990 წლის ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების რეკომენდაციის თანახმად - 30 პროცენტის კვოტირება განიხილება, როგორც დირექტიული ხასიათის მინიმალური მოთხოვნა სახელმწიფო სტრუქტურების დემოკრატიზაციისათვის.<sup>28</sup>

კვოტა ხშირად აღიქმება, როგორც ერთიან მოცემულობაში გარკვეული მინიმალური ოდენობა, რაოდენობა, რაც ჩემი აზრით შესაძლოა საკითხში ჩაუხედავი ადამიანისთვის სკეპტიკურ დამოკიდებულებას იწვევდეს კვოტის ინსტიტუტის მიმართ.

არსებობს თანასწორობის მრავალი ფორმა, ფორმალური, არსებითი, ტრანსფორმაციული, შესაძლებლობების, შედეგების, ტიპოლოგიურად შესაძლებელია გამოიყოს ბუნებრივი, სოციალური, სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი თანასწორობანი.

ერთი შეხედვით, პრინციპი, რომელიც მოცემულია სხვადასხვა ქვეყნის სადამფუძნებლო დოკუმენტებში, კონსტიტუციებში (საქართველოს მაგალითზე კი: საქართველოს კონსტიტუციის მეთოთხმეტე მუხლში<sup>29</sup>) გამორიცხავს უთანასწორობის საკითხებს ქვემდგომ ნორმატიულ ტექსტებში, რაც ფორმალური თანასწორობის კარგ მაგალითს წარმოადგენს, მაგრამ როგორც სტატისტიკური მონაცემები და მათი ანალიზი ცხადყოფს - საქართველოში შედეგების თვალსაზრისით გენდერულ ჭრილში უთანასწორო მდგომარეობაა.

ნორმატიულ დონეზე სიტყვა ქალი ნახსენებია 21 კანონში. მოდით მიმოვიხილოთ ძირითადი სამართალმდგომარეობანი<sup>30</sup>:

საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 30, მეოთხე პუნქტი „*შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, არასრულწლოვნისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება ორგანული კანონით*“; საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 34, პუნქტი 5) „*სამართალდარღვევის ჩადენა ორსული ქალის ან იმ ქალის მიერ, რომელსაც ერთ წლამდე ასაკის ბავშვი ჰყავს*“ საქართველოს კანონი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ, 321 მუხლი „*აკრძალულია ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენება ფეხმძიმე ქალის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისა და არასრულწლოვნის მიმართ. ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენება დასაშვებია, თუ ფეხმძიმე ქალის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისა და არასრულწლოვნის მოქმედებით აშკარა საფრთხე ექმნება საკონსტიტუციო სასამართლოს მანდატურის ან სხვა პირთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას*“.

საქართველოს კანონი სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ, მუხლი 10, მესამე პუნქტი: „*სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში უმცროსი სპეციალური წოდების შესაბამის თანამდებობაზე საკონტრაქტო-პროფესიულ სამსახურში შეიძლება ჩაირიცხოს ოფიცრის სახელმწიფო სპეციალური წოდების ან ოფიცრის სამხედრო წოდების არმქონე*

<sup>28</sup> მერკვილაძე ია. გენდერულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი; [რედ.: ნაირა პოპიაშვილი ; თარგმანი ჰამლეტ ზუკაიშვილი] - თბ. : კავკას. სახლი, 2003 - 112გვ.

<sup>29</sup> ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

<sup>30</sup> მოქმედი ნორმატიული აქტებიდან ამონარიდები მოყვანილია სიტყვასიტყვითი ციტირების სახით და შესაბამისად მოკლებული ავტორისეულ დამოკიდებულებას თითოეული ნორმის ჰიპოთეზისა თუ დისპოზიციის მიმართ.

საქართველოს მოქალაქე 35 წლის ჩათვლით, რომელსაც მოხდელი აქვს სამხედრო ვალდებულება (გარდა ქალისა), ხოლო საშუალო ან ზემდგომი სპეციალური წოდების შესაბამის თანამდებობაზე კადრის სამსახურში – არა უმეტეს 30 წლის საქართველოს მოქალაქე, რომელიც ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და პიროვნული თვისებებით, განათლებით, ფიზიკური მომზადებითა და ჯანმრთელობის მდგომარეობით შეუძლია შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები”.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხლი 1106 „*ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია...*”

სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის, მუხლი 11 (მოქალაქის ვალდებულება იმყოფებოდეს სამხედრო აღრიცხვაზე) *ყველა მოქალაქე ვალდებულია იმყოფებოდეს სამხედრო აღრიცხვაზე. სამხედრო აღრიცხვას არ ექვემდებარება: ბ) ქალი, რომელსაც არ გააჩნია სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობა;* ამავე კანონში ვკითხულობთ, რომ *იმ შემთხვევაში, თუ ქალი შეიძენს სამხედრო სააღრიცხვო სპეციალობას, მის სამხედრო აღრიცხვას ახორციელებს მუნიციპალიტეტი/თბილისის რაიონი.*

საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონი ადგენს, რომ „*მოხელე (ქალი) არ შეიძლება განთავისუფლდეს სამსახურიდან ორსულობის ან ბავშვის 3 წლის ასაკამდე აღზრდის პერიოდში შტატების შემცირების, ხანგრძლივი შრომისუუნარობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის, აგრეთვე, ატესტაციის შედეგების გამო*”

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონი შეიცავს მნიშვნელოვან დანაწესებს, რომლებიც ეხება უსაფრთხო დედობისა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვას (თავი XXII), ასევე, ოჯახის დაგეგმვას (თავი XXIII), მნიშვნელოვანია ხსენებული კანონის 139-ე მუხლის მეორე პუნქტის ბ) ქვეპუნქტში არსებული დანაწესი, რომელიც უზრუნველყოფს ქალს აბორტის შესახებ გადაწყვეტილების პრეროგატივით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 19-ჯერ ახსენებს სიტყვა ქალს. კონტექსტი ძირითადად ეხება შემდეგს: სასჯელის მოხდის გადავადების შესაძლებლობას ორსული ქალისათვის,<sup>31</sup> ხოლო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდების შემთხვევაში – საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივ მუდმივმოქმედ კომისიას შეუძლია, სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გაათავისუფლოს სასჯელის მოხდის პერიოდში ხანდაზმულობის ასაკს მიღწეული პირი (ქალი – 65 წლიდან, მამაკაცი – 70 წლიდან), თუ მას მისჯილი არ აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა და მოხდელი აქვს სასჯელის არანაკლებ ნახევარი<sup>32</sup>. დანაშაულზე საუბრისას იმ შემთხვევაში, თუ დანაშაული მიმართულია ორსული ქალის მიმართ, ეს წარმოადგენს დამამძიმებელ გარემოებას და, ხშირ შემთხვევაში, გვევლინება იმავე სტანდარტში, რომელიც ვრცელდება არასრულწლოვანი პირის მიმართ.

პატიმრობის კოდექსი ადგენს, თუ რა არის ქალთა სპეციალური დაწესებულება და განმარტავს, რომ ქალთა სპეციალური დაწესებულება არის განსაკუთრებულად დაცული, შეიარაღებული დაცვით უზრუნველყოფილი, სპეციალური დამცავი ზღუდეებით გარშემორტყმული დაწესებულება, რომელშიც უზრუნველყოფილია მსჯავრდებულთა მუდმივი მეთვალყურეობა. ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში განთავსებული არიან ქალი მსჯავრდებულები, მათ შორის, არასრულწლოვნები. ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში მსჯავრდებულები, როგორც

<sup>31</sup> იხ. საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (შემდგომში სსსკ), მუხლი 75.

კოდექსის ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>

<sup>32</sup> სსსკ, მუხლი 74.

წესი, განთავსებული არიან საერთო საცხოვრებელში, სადაც შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი.

საინტერესოა ამავე კოდექსის დანაწესი საოჯახო პაემანთან დაკავშირებით, კერძოდ კი, საოჯახო პაემანი ზემოხსენებული კოდექსის მიხედვით არის ქალი მსჯავრდებულის განსაზღვრულ პირებთან შეხვედრა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე, ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ ოთახში.

ქალ მსჯავრდებულს წერილობითი თხოვნის საფუძველზე შეიძლება მიეცეს შვილთან, ნაშვილებთან, გერთან, შვილიშვილთან, მეუღლესთან, პირთან, რომელთანაც საერთო შვილი ჰყავს, მშობელთან (მშვილებელთან), ბებიასთან, პაპასთან, დასთან და ძმასთან საოჯახო პაემნის უფლება.

სპეციალური საშუალებებისა და მათი გამოყენების წესი ადგენს, რომ ქალის მიმართ შესაძლებელია მხოლოდ ბორკილების გამოყენება მაშინ, როდესაც მამაკაცი პატიმრების მიმართ იმავე პირობებში შესაძლებელია ხელბორკილის, დამაწყნარებელი პერანგის, დამაწყნარებელი სკამის, დამაწყნარებელი საწოლის, ხელკეტის, ცრემლსადენი გაზის, წიწაკის გაზის, არალეტალური იარაღის, აკუსტიკური საშუალების, ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქგერითი მოწყობილობის, წყალსატყორცის, სამსახურეობრივი ძაღლის გამოყენება. კოდექსით, ასევე, დაუშვებლად არის მიჩნეული ქალი პატიმრის გაქცევისას ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება.<sup>33</sup> მსჯავრდებულების წახალისების ფორმების ნაწილში, ქალი მსჯავრდებულებისათვის გათვალისწინებულია დამატებითი საოჯახო პაემანი.<sup>34</sup>

ქალი მსჯავრდებულების მიერ თავისუფლების აღკვეთის მოხდის თავისებურებებს ეძღვნება პატიმრობის კოდექსის XII თავი. ამ თავით დადგენილია, რომ ქალ მსჯავრდებულს უფლება აქვს, 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 3 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 1 დამატებითი ხანმოკლე პაემანი. მათ, ასევე, უფლება აქვთ 1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეთ 5 სატელეფონო საუბარი, თითოეული – არა უმეტეს 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით – ულიმიტო სატელეფონო საუბარი, თითოეული – არა უმეტეს 15 წუთისა. ქალ მსჯავრდებულს უფლება აქვს, დამოუკიდებლად გადაადგილდეს ქალთა დაწესებულების ტერიტორიაზე დებულებით დადგენილი წესით. ქალ მსჯავრდებულს ასევე უფლება აქვს, 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 1 საოჯახო პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 1 დამატებითი საოჯახო პაემანი. დამატებით კი, ქალ მსჯავრდებულს უფლება აქვთ, 10 კალენდარული დღის განმავლობაში ჰქონდეთ 1 ვიდეოპაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 1 დამატებითი ვიდეოპაემანი.<sup>35</sup>

საქართველოს შრომის კოდექსი ადგენს ერთგვარ საშეღავათო რეჟიმს ორსული (ფეხმძიმე) მემუტური და ახლადნამშობიარები ქალისთვის (დამატებითი შესვენება), უქმე დღეების ნაწილში კი ადგენს 8 მარტს, როგორც ქალთა საერთაშორისო დღეს – უქმე დღედ. სახელმწიფო

<sup>33</sup> საქართველოს კანონი პატიმრობის კოდექსი, მუხლი 57<sup>2</sup>, მეორე პუნქტი. კანონის ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91612#>

<sup>34</sup> იქვე, მუხლი 63, ი) და მუხლი 66 კ).

<sup>35</sup> იხ. საქართველოს კანონი პატიმრობის კოდექსი, მუხლი 72. კოდექსის ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91612#>

პენსიის შესახებ საქართველოს კანონის მეხუთე მუხლის მიხედვით „*პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველია საპენსიო ასაკის – 65 წლის მიღწევა. ამასთანავე, პენსიაზე უფლება ქალებს წარმოეშობათ 60 წლიდან*“.

ადმინისტრაციული სახდელისაგან განთავისუფლების შესახებ საქართველოს კანონი ამ კანონით გათვალისწინებული სახდელებისგან ათავისუფლებს სახდელდადებულ პენსიონერებს (ქალს 60 წლის ასაკიდან, მამაკაცს 65 წლის ასაკიდან).

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 85<sup>2</sup> მუხლი, რომელიც ეხება დასახლების საერთო კრების საქმიანობას, აღნიშნავს, რომ „*საერთო კრების საქმიანობაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ქალისა და მამაკაცის თანასწორი მონაწილეობის შესაძლებლობა*“

საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 116-ე მუხლის მიხედვით, მოხელე ქალი არ შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან ორსულობის ან ბავშვის 3 წლის ასაკამდე აღზრდის პერიოდში საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის ან მოხელის შეფასების შედეგების გამო.

ასევე, მნიშვნელოვანია დანაწესი (სამოქალაქო კოდექსი), რომლის მიხედვითაც „*ცოლის ორსულობის დროს და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში ქმარს უფლება არა აქვს ცოლის თანხმობის გარეშე აღძრას საქმე განქორწინებაზე*“<sup>36</sup>

რაც შეეხება გენდერულ ჭრილს ნორმატიულ აქტებში, როგორც ზევით აღვნიშნე, მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს კანონები გენდერული თანასწორობის შესახებ (2010) და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფრხვის შესახებ (2014).

როგორც ვხედავთ, არსებული ნორმატიული დანაწესები ერთგვარად ამსუბუქებენ ქალთა მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში გამომდინარეობენ იმ ბიოლოგიური თავისებურებებიდან, რომლებიც არსებობს ადამიანის სხვადასხვა ბიოლოგიურ სქესს შორის.

როგორ მივალწიოთ ნორმატიულ-სამართლებრივ თანასწორობასა და რეალურ თანასწორობას, სადაც ფორმალური თანასწორობა რეალური თანასწორობის ეკვივალენტური იქნება? შეუძლებელია რეალური თანასწორობის მიღწევა მხოლოდ ფორმალურ სამართლებრივი გზებით, მაგრამ შეუძლებელია რეალური თანასწორობის მიღწევა ნორმატიულ-სამართლებრივი თანასწორობის უზრუნველყოფილი დანაწესების გარეშე, რომლებიც სხვადასხვა სოციალურ, კულტურულ, მენტალურ სინამდვილეში სხვადასხვა სახისა და ინტენსივობის არის.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გენდერული თანასწორობა უზრუნველყოფილია ფორმალურად მაშინ, როდესაც გვაქვს შესაბამისი დანაწესი, მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციაში (მუხლი 14), ხოლო სხვა ყველა ნორმატიულ აქტში არ გვაქვს არცერთი ხსენება სქესის მიმართ მაიდენტიფიცირებელი სიტყვებისა (ქალი, კაცი, მდედრობითი, მამრობითი, დედა, მამა, და ა.შ.) ამ შემთხვევაში ნორმის ჰიპოთეზა თანაბრად მოიაზრებს ნორმის ამოქმედებას როგორც

<sup>36</sup> საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1123, კოდექსის ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>

ქალების, ისე კაცების მიმართ, რაც განაპირობებს იმას, რომ ესა თუ ის ნორმა თანაბრად იმოქმედებს ორივე სქესის ადამიანის მიმართ.

ეს ფორმალურ-სამართლებრივ-ნორმატიული მიდგომა არ/ვერ გადაწყვეტს (არ/ვერ გადაჭრის) არსებულ პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, სამოქალაქო და სხვა სეგმენტებში რეალურ გენდერულ თანასწორობას, ვინაიდან ამისთვის აუცილებელია ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ცნობიერებაში არსებობდეს გენდერული თანასწორობის რეალური არსებობის საჭიროების გააზრება, ხოლო ამის მიღწევა მხოლოდ ნორმატიულ-სამართლებრივი დანაწესების შემოღება-შეცვლა-გაუქმებით შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელია მოსახლეობაში (თითოეული მოსახლის ინდივიდუალურ ცნობიერებაში) გენდერული თანასწორუფლებიანობის იდეისა და რეალური თანასწორუფლებიანობის საჭიროების შესახებ ცნობიერების ამაღლება, რაც თავისთავად დააჩქარებს პროცესს. ამისთვის აუცილებელია იმ პროცენტული მაჩვენებლების შეცვლის ხელშეწყობა, რომელიც არსებობს დღევანდელ ქართულ რეალობაში.

როგორც კვლევის პირველ ნაწილში ვნახეთ, თუნდაც ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს გენდერული პროპორციის მაგალითზე, არსებული ნორმატიულ-სამართლებრივი რეალობის პირობებში რეალური გენდერული ბალანსი უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში უახლოეს ათწლეულებში ვერ იქნება მიღწეული (თუ სახეზე არ გვექნება 25 წლის განმავლობაში არსებული ტენდენციიდან სრულიად საგამონაკლისო შემთხვევა).

გენდერულ ჭრილში დისპროპორციის შეცვლა შესაძლებელია როგორც მინიმალური კვოტირების შემოღებით სქესის მიმართ 30-40%-იანი პროპორციის დაწესებით, ისე მაქსიმალური პროპორციის შემოღებით 60-70% (რაც ერთსა და იმავე შედეგს მოიტანს). ასევე, ყოველი მეორე განსხვავებული სქესის მქონე პირით დაკომპლექტებული სიის ფორმირებით, ყველა იმ შემთხვევისათვის, როდესაც სიის არსებობა მონაწილეობის წინაპირობაა. ასეთი სიის ფორმირების პრინციპი (თითოეული შემდგომი-განსხვავებული სქესის მქონე) უზრუნველყოფს რეალურ გენდერულ თანასწორობას, განსახილველ მაგალითზე - ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს შემთხვევაში პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში. იგივე შედეგი მიიღწევა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს - არჩევნების შემთხვევაში პარტიული სიის მიხედვით დაკომპლექტების დროს.

ასევე, მეტად მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა<sup>37</sup> წარმოდგენა ყველა იმ სფეროში, სადაც კი წარმომადგენლობაა გათვალისწინებული.

### დასკვნა:

როგორც კვლევამ ცხადყო, საქართველოს სინამდვილეში 1991-2016 (25) წლის განმავლობაში განხორციელებული ნაბიჯების პირდაპირი შედეგების თვალსაზრისით, ტემპის ტენდენციის

<sup>37</sup> 2015 წლის მონაცემებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე რეგისტრირებულ პირთა რაოდენობა საქართველოში 118 651 ადამიანს შეადგენს, რაც ქვეყნის მოსახლეობის 3%-ს შეადგენს, ხოლო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რიცხოვნობის საშუალო მაჩვენებელი ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობაში, ამ მოსახლეობის დაახლოებით 10% -ია. დამატებითი ინფორმაცია შშმ პირთა რიცხოვნობის შესახებ ხელმისაწვდომია აქ: <https://idfi.ge/ge/statistics-of-persons-with-disabilities>



ჰიპოთეზური განზოგადებით საქართველოს ესაჭიროება 200 წელზე მეტი იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას გენდერული თანასწორობა, ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს პროპორციული წესით არჩეულ დეპუტატთა მაგალითზე (ამ 25 წლის განმავლობაში ქალ დეპუტატთა პროპორცია პარლამენტის სიით შემადგენლობაში მაქსიმუმ იყო 12% (2012 წლის არჩევნები), ხოლო პროპორციული წესით გასულ კანდიდატთა შორის მაქს. 14.29% (2012).

დასაქმების ყველა სეგმენტში, ქალების საშუალო შემოსავალი ნაკლებია კაცების საშუალო შემოსავალზე.

სკოლამდელ, დაწყებით, საშუალო და უმაღლეს განათლებაში არ არის ინტეგრირებული სწავლება, რომელიც შეცვლიდა გენდერთან დაკავშირებულ სტერეოტიპულ მიდგომებს. უფრო მეტიც, არსებული სასწავლო მასალების ანალიზი, ხშირ შემთხვევაში, პირიქით, ადასტურებს სტერეოტიპების შემქმნელი სასწავლო მასალის არსებობას სასწავლო ლიტერატურაში, გენდერული როლების გადანაწილებითა და ილუსტრირებული მასალის დისპროპორციულობით.

არსებული ვითარების შეცვლა/გამოსწორებისთვის მიმაჩნია, რომ უნდა გადაიდგას შემდეგი კონკრეტული ნაბიჯები<sup>38</sup>:

### **ნაბიჯი 1.1.**

ყველა ნორმატიულ აქტში და სტატისტიკურ მონაცემში სიტყვა-ტერმინი „კაცი“ (სადაც მისი მნიშვნელობა არის -ადამიანი), შეიცვალოს სიტყვა-ტერმინად „ადამიანი“, ან „მოსახლე.“

### **ნაბიჯი 1.2.**

ცვლილება/დამატებანი საქართველოში მოქმედ ნორმატიულ აქტებში, სულ მცირე, (შვიდი საპარლამენტო ციკლი) – 28 წელი) ყველგან, სადაც კომპლექტაცია/წარმომადგენლობა ეფუძნება სიის არსებობას<sup>39</sup>, სიის ფორმირება უნდა ეფუძნებოდეს ყოველი მეორე განსხვავებული სქესის პრინციპს. რატომ 28 წელი? ეს დრო საკმარისია იმისათვის, რომ სისტემური ცვლილებები განხორციელდეს ადამიანის მენტალობაში გენდერული თანასწორობის აუცილებლობის გააზრების თვალსაზრისით. თაობისთვის, რომელიც დაიბადება ამ ცვლილებების შემდეგ, ბუნებრივი იქნება თანასწორი პროპორცია და ის თაობა მიიღებს გადაწყვეტილებას ამ

<sup>38</sup> შესაძლებელია ერთი შეხედვით, ჩემ მიერ წარმოდგენილი ნაბიჯები მეტათეორიულ ხასიათს ატარებს და მათი განხორციელება ზოგ შემთხვევაში უტოპიის სფეროს განეკუთვნება დღევანდელი კონტემპორარული განზოგადებული ტენდენციების გადმოსახედიდან, მაგრამ ვთვლი, რომ ამ ნაბიჯების თანმიმდევრული გადადგმა, მიუხედავად შუალედური შედეგებისა, რომლებიც შესაძლოა რიგ შემთხვევაში არასასურველად აღიქმებოდეს, დროის მინიმალურ ინტერვალში იმ გრძელვადიანი შედეგების თვალსაზრისით, რომლებიც ეხება გენდერულ თანასწორობასთან მიმართებაში არის გეგმაზომიერი, შეჯერებული და კონკრეტულ შედეგზე ორიენტირებული და ამ ნაბიჯების გადადგმის გარეშე გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული, დასახული მიზნებისა და შედეგების მიღწევა იგივე დროის მონაკვეთში შეუძლებელია.

<sup>39</sup> მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი პირდაპირ არ ეხება საკვლევ თემას, ამავე ნაბიჯის (1.1.) შემადგენელი ნაწილი შეიძლება იყოს იმავე ვადის განმავლობაში (7 საპარლამენტო ციკლი) ნებისმიერი სიის ფორმირებისას, სადაც წარმომადგენლობა ეფუძნება სიის არსებობას, სიის ყოველ ათეულში მინიმუმ ერთი უსინათლო, ერთი სმენადაქვეითებული და ერთი ეტლით მოსარგებლე პირის აუცილებელი კვოტირების არსებობა.

დროებითი ნორმატიული ჩარევის გაუქმების შესახებ (შესაძლოა, უკვე აღარ იყოს მისი საჭიროება.)

### **ნაბიჯი 1.3.**

აუცილებელია გენდერული თანასწორობის ისეთი კონცეფციის შემუშავება, იმპლემენტირება, რომელიც იქნება გათვლილი როგორც მოკლევადიან, ისე საშუალო და გრძელვადიან შედეგებზე და მოიცავს ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა დროით ციკლებსა და ლოკაციას, პირველ რიგში განათლების სისტემას: სკოლამდელი, დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი განათლების ჩათვლით. როგორც კვლევის ტექსტში ვნახეთ, საქართველოში არაერთხელ შეიმუშავეს და მიიღეს ასეთი კონცეფცია, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით. ამ ნაბიჯით განსაზღვრული კონცეფცია შემუშავებული და მიღებული უნდა იქნას ყოველი მეორე განსხვავებული სქესის მქონე პროპორციული წესით არჩეული პარლამენტის მიერ, ხოლო კონცეფციის შემუშავებაში აუცილებლად მონაწილეობას უნდა ღებულობდნენ: ბავშვის, მოზარდისა და ზრდასრულ პირებთა ფსიქოლოგები (თითოეული ასაკობრივი ჯგუფისთვის, ასევე, განსხვავებული სქესის), არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციები და პირები.

### **ნაბიჯი 2.**

შეიქმნას გენდერული თანასწორობის ზემოხსენებული კონცეფციის განხორციელების მონიტორინგის მექანიზმები.

### **ნაბიჯი 3.1.**

შევიდეს შესაბამისი ცვლილებები/დამატებები ნორმატიულ აქტებში და დაუწესდეს დამსაქმებელს (როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორს), რომ სხვადასხვა სქესის დასაქმებულის საშუალო ყოველთვიურ ხელფასს შორის სხვაობა შესაძლებელია იყოს არაუმეტეს 10%-ისა.

### **ნაბიჯი 3.2.**

შევიდეს შესაბამისი ცვლილებები/დამატებები ნორმატიულ აქტებში და დაუწესდეს დამსაქმებელს (როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორს) დასაქმებულთა გენდერული რაოდენობრივი ზღვრული პროპორცია, სადაც ერთი სქესის დასაქმებულთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს მეორე სქესის დასაქმებულთა რაოდენობაზე 20%-ით მეტი. ეს ნაბიჯი, ერთი შეხედვით, გამოიწვევს კერძო დამსაქმებელთა უკმაყოფილებას და აღქმული იქნება, როგორც თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპების საწინააღმდეგო ნაბიჯი, მაგრამ, მეორე მხრივ, შედეგად მოგვცემს ამა თუ იმ პროფესიათა მიმართ გენდერული მიკუთვნების სტერეოტიპების რღვევას. რაც, ასევე, გამოიწვევს ორივე სქესის დასაქმებულთა საჭიროებას დამსაქმებლების მხრიდან, მოთხოვნის გაჩენა კი - ამ პროფესიებით (სტერეოტიპის) საპირისპირო სქესის მქონე პირთა დაინტერესებას.

**ნაბიჯი 4.** სულ მცირე შვიდი საპარლამენტო ციკლის (28 წელი) გავლის შემდეგ: ყველა ზემოხსენებული ნაბიჯის გადადგმისას ნორმატიულ აქტები განხორციელებული ცვლილება/დამატებების გაუქმება;

**ნაბიჯი 5.**

გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული სპეციალური ნორმატიული აქტების გაუქმება. ცვლილებების/დამატებების შეტანა ყველა იმ ნორმატიულ აქტში, რომლებშიც არის სიტყვები: ქალი, კაცი. ცვლილების შინაარსი: ყველა ნორმატიული აქტიდან ამოღებული უნდა იქნას სიტყვა „ქალი“ და სიტყვა „კაცი.“

-----  
Article received: 2016-09-15